



გარდაზნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოები

ქვეპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით:

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე
პროექტი (SRMIDP 2)

თბილისი, საქართველო

2021 წლის ივნისი

დოკუმენტი განახლებულია 2022 წ. მაისს

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვეპროექტის არეალი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელს, ობიექტი თბილისიდან 30-80 კმ. მანძილზე მდებარეობს. პროექტი დაფარავს 7 515 კომლს, მთლიანობაში - 27 227 სულს (2020 წლის მონაცემებით).

ხუთივე სოფელი მდებარეობს რეგიონში, სადაც მწირია გრუნტისა და ზედაპირული წყლების მარაგი, ზაფხული ცხელია, ხოლო წყალზე მოთხოვნილება - მაღალი. თითოეულ სოფელს გააჩნია საკუთარი წყალმომარაგების წყარო, მაგრამ ეს მოცულობა ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის მეოთხედსაც კი. სოფლების წყალმომარაგება ხორციელდება 3-5 დღეში ერთხელ, ხანდახან კი მოსახლეობა კვირების განმავლობაში რჩება წყლის გარეშე. არსებული მილსადენები და რეზერვუარები მწყობრიდან არის გამოსული, ისინი უხარისხოდ არის მოწყობილი და ამორტიზებულია; შესაბამისად მათი შემდგომი ექსპლუატაცია რეკომენდებული არ არის.

ქვეპროექტი ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამ ეტაპს. სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულებულია, ხოლო მეორე ეტაპი ამჟამად მიმდინარეობს, რაც მოიცავს სათავე ნაგებობის (მიწისქვეშა დრენაჟი, ჭები, სატუმბი სადგური, საქლორატორი, დამცავი სანიტარული ღობე), წყლის მილსადენის, და რეზერვუარების მშენებლობას. I ეტაპის სამუშაოები დასრულებულია, ხოლო II ეტაპის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. პროექტის II ეტაპზე მიმდინარეობს შემდეგი ახალი სამარაგო რეზერვუარების მონტაჟი:

1. ახალი სამგორი - 2X500 მ³
2. ვაზიანი - 2X500 მ³
3. ახალსოფელი - 2X500 მ³
4. ნორიო - 2X750 მ³
5. მარტყოფი - 2X750 მ³

ქვეპროექტის მესამე ეტაპი (III ეტაპი) უმეტესწილად გულისხმობს წყალგამანაწილებელი ქსელის მოწყობას გარდაბნის მუნიციპალიტეტის ამ ხუთი სოფლისათვის, როგორცაა სოფელი ახალი სამგორი - 762 კომლით, სოფელი ვაზიანი - 1 993 კომლით, სოფელი ახალსოფელი - 760 კომლით, სოფელი ნორიო - 1 400 კომლით, და სოფელი მარტყოფი - 2 600 კომლით.

ახალი სამგორის გარდა, ყველა სოფელს აქვს ფოლადის გამანაწილებელი ქსელი, რომელიც ამორტიზებული, დაჟანგული და მწყობრიდან გამოსულია. ზემოხსენებული გარემოების გამო, ამ სოფლებისათვის უნდა მოეწყოს სრულიად ახალი გამანაწილებელი ქსელი. გამონაკლისს წარმოადგენს ახალი სამგორი, სადაც რამდენიმე წლის წინ გამანაწილებელი ქსელის ნაწილი შეიცვალა პოლითილენის მილებით (L=9.5 კმ).

პროექტირების შემდეგ, ახალი გამანაწილებელი ქსელი პოლიეთილენის მილებით მოეწყობა. ამ სოფლებისათვის ერთიანი გამანაწილებელი ქსელის შესაქმნელად, მოხდება ახალი და ძველი ქსელების ერთმანეთთან დაკავშირება.

კერძოდ კი, ქვეპროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები ითვალისწინებს:

- წყალსადენის ქსელი, 10365 მ სიგრძის. და ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 762 კომპლექტი, ახალ სამგორში
- წყალსადენის ქსელი, 33800 მ სიგრძის, ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 393 კომპლექტი, კერძო სახლებისთვის - 2063 კომპლექტი; შენობებისთვის – 1670 კომპლექტი და 1X500 მ³ დამატებითი რეზერვუარი ვაზიანში;
- წყალსადენის ქსელი, 23010 მ სიგრძის. ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 760 კომპლექტი ახალსოფელში;
- წყალსადენის ქსელი, 36840 მ სიგრძის., ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 1400 კომპლექტი, და ქვედა ზონის რეზერვუარი 1X500 მ³. ნორიოში;
- წყალსადენის ქსელი, 73850 მ სიგრძის., ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 2600 კომპლექტი, და ქვედა ზონის რეზერვუარი 2X500 მ³ მარტყოფში.

საერთო ჯამში, მოეწყობა 178.440 მ სიგრძის მილსადენი და 7585 წყლის მრიცხველის კომპლექტი.

დამატებით, III ეტაპზე მოეწყობა 1X500 მ³ ვაზიანის რეზერვუარი, 2x500 მ³ სამარაგო რეზერვუარები ნორიოს შუა ზონაში და 1x500 მ³ სამარაგო რეზერვუარები მარტყოფის ცენტრალურ უბანში.

(A) ზემოქმედების განსაზღვრა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს არ ექნება საგრძნობი ან შეუქცევადი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. სახეზე არ იქნება ზემოქმედება სენსიტიურ ეკოლოგიურ რეცეპტორებზე.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე, რადგან იგი გააუმჯობესებს წყალმომარაგების სისტემას გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელში. ქვეპროექტის განხორციელების შედეგად, მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი წყალმომარაგება, რაც გამოიწვევს წყლით სარგებლობის და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას და ოპტიმიზაციას.

	ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული წყალმომარაგების სისტემის/საშუალებების მოწყობას და რეაბილიტაციას, რომელიც ძალიან მოძველებულია და მნიშვნელოვანი გაჟონვებით ხასიათდება, ეს კი თავის მხრივ იწვევს წნევის ვარდნას ქსელში და მიწოდების ეფექტურობის დაქვეითებას. წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, კერძოდ კი გაჟონვების ლიკვიდაცია მოახდენს რეგიონის წყლის რესურსების კონსერვაციას, რაც გარემოსათვის სარგებელს წარმოადგენს. ქვეპროექტის საპროექტო მასალები შეიცავს ჰიდროლოგიურ და გეოლოგიურ კვლევებს, რომლის თანახმადაც ამ დონის წყალალბა წყალშემცველი ჰორიზონტიდან არ გამოიწვევს უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე მოკლე-ვადიანია და ტიპურია მცირე და საშუალო-მასშტაბიანი სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებისათვის, რომელიც ურბანულ ლანდშაფტზე ხორციელდება: ხმაური, მტვერი და ემისიები სამშენებლო მექანიზმების ოპერირების პროცესში, სამშენებლო ნარჩენების გენერირება, და სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ნაკადის დროებით შეზღუდვა. ყველა ზემოთმოყვანილი ზემოქმედება დროებითი და უმნიშვნელოვანია. ის ტერიტორია, სადაც გამანაწილებელი ქსელი განთავსდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებად არის რეგისტრირებული.
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედებას ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	ქვეპროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის ახალი ფართობის დაკავებას და განსახლებას.

	ქვეპროექტს სავარაუდოდ გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება ექნება, რაც გამოწვეულია ხუთი სოფლის წყალმომარაგების გაუმჯობესებით, რასაც შედეგად მოჰყვება მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. უარყოფითი ზემოქმედება მოკლე-ვადიანია და მოქცეულია სამშენებლო მოედნის საზღვრებში.
--	--

(B) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	რადგან ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას/მოწყობას, სხვა ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა.
ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?	სამშენებლო ფაზის მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შერბილება შესაძლოა განხორციელდეს მარტივად - სამშენებლო მოედნის შემოფარგვლით, სატრანსპორტო მოძრაობის მართვით, სამშენებლო მექანიზმების კარგი მოვლა-პატრონობით, დამტკიცებული სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გადაყრით - ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილებში. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ნარჩენების ნებადართულ ნაგავსაყრელზე გატანაზე, მხოლოდ ლიცენზირებული კარიერიდან მოპოვებული მასალების გამოყენებაზე, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილებაზე (საწვავის დაღვრა მანქანა-მექანიზმების გაუმართაობის გამო, ასფალტის/ბეტონის მასალის დაღვრები და ა.შ), მოსახლეობის შეწყუბების თავიდან აცილებაზე (ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვები), ტრანსპორტის მოძრაობის სათანადოდ რეგულირებაზე და

	სამშენებლო მექანიზმების ხარისხიან მოვლა-პატრონობაზე და ა.შ. ახლადაშენებული რეზერვუარები და მოწყობილი მიწები დეზინფექციას დაექვემდებარება. სადეზინფექციო საშუალების პირდაპირი გადაღრა ბუნებრივ გარემოში უარყოფითად იმოქმედებს ეკოლოგიაზე. შესაბამისად, გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება სადეზინფექციო საშუალების დეაქტივაცია.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვეპროექტის პროექტირებისას?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (მგფ) სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და მსხვილი მასშტაბის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროექტების განხორციელების ფართო გამოცდილება აქვს.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვეპროექტის მომზადების პროცესში და სათანადოდ იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?	ქვეპროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა, ადგილობრივი მოსახლეობის მიმდინარე საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით. პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მგფ-ის მიერ ორგანიზებული საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა ქვეპროექტთან დაკავშირებით, ონლაინ რეჟიმში, გაიმართა 2021 წ. 21 მაისს. ინფორმაცია შეხვედრის თარიღის/დროის და ზუმის ბმულების შესახებ, გამოქვეყნდა მგფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განცხადებები კი გამოიკრა გარდაბნის სოფლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის საკონტაქტო პირი ტელეფონით დაუკავშირდა თითოეულ ბენეფიციარს და შეატყობინა ონლაინ შეხვედრის თარიღის/დროის და შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო პროცედურების შესახებ.

(C) რანჟირება

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პრინციპების (OP 4.01) შესაბამისად, პროექტი განეკუთვნება გარემოსდაცვით B კატეგორიას და საჭიროებს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ნუსხის შევსებას.

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა ღობეები, არხები, ბელლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად			

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
ქვეპროექტის დასახელება	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოები - ახალი სამგორი, ვაზიანი, ახალსოფელი, ნორიო, მარტყოფი.
Scope of site-specific activity	ქვეპროექტი ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოებს. მესამე ეტაპი (III ეტაპი) გულისხმობს წყალგამანაწილებელი ქსელის მოწყობას გარდაბნის მუნიციპალიტეტის ამ ხუთი სოფლისათვის, როგორცაა სოფელი ახალი სამგორი - 762 კომლით, სოფელი ვაზიანი - 1 993 კომლით, სოფელი ახალსოფელი - 760 კომლით, სოფელი ნორიო - 1 400 კომლით, და სოფელი მარტყოფი - 2 600 კომლით. პროექტირების შემდეგ, ახალი გამანაწილებელი ქსელი პოლიეთილენის მილებით მოეწყობა. კერძოდ კი, ქვეპროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები ითვალისწინებს: - წყალსადენის ქსელი, 10365 მ სიგრძის და ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 762 კომპლექტი, ახალ სამგორში - წყალსადენის ქსელი, 33800 მ სიგრძის, ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 393 კომპლექტი, კერძო სახლებისთვის - 2063 კომპლექტი; შენობებისთვის - 1670 კომპლექტი და 1X500 მ³ დამატებითი რეზერვუარი ვაზიანში;

	• წყალსადენის ქსელი, 23010 მ სიგრძის. ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 760 კომპლექტი ახალსოფელში; • წყალსადენის ქსელი, 36840 მ სიგრძის., ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 1400 კომპლექტი, და ქვედა ზონის რეზერვუარი 1X500 მ³. ნორიოში; • წყალსადენის ქსელი, 73850 მ სიგრძის., ინდივიდუალური წყლის მრიცხველები - 2600 კომპლექტი, და ქვედა ზონის რეზერვუარი 2X500 მ³ მარტყოფში. საერთო ჯამში, მოეწყობა 178.440 მ სიგრძის მილსადენი და 7585 წყლის მრიცხველის კომპლექტი. დამატებით, III ეტაპზე მოეწყობა 1X500 მ³ ვაზიანის რეზერვუარი, 2x500 მ³ სამარაგო რეზერვუარები ნორიოს შუა ზონაში და 1x500 მ³ სამარაგო რეზერვუარები მარტყოფის ცენტრალურ უბანში.		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: აქსელ ბეუმლერი	გარემოს დაცვის და სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტები დარეჯან კაპანაძე - გარემოს დაცვა დავით ჯიჯელავა – სოციალური საკითხები.	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: კომპანია შპს „ეპტისა სერვისიოს დე ინჟინერია“ (Eptisa Servicios de Ingenieria), ესპანეთი	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს „ინსი“

ობიექტის აღწერა	
დაწესებულების დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი
დაწესებულების მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	დავით აღმაშენებლის ქუჩა #73., გარდაბნის მუნიციპალიტეტი, გარდაბანი. ვახტანგ გაგუა, გარდაბნის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი დაგეგმარების განყოფილების უფროსი (ტელ: 598404261, ელ. ფოსტა: gardabani.infrastruqtura@gmail.com)
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მესამე ეტაპის სამუშაოების ობიექტი მუნიციპალიტეტის საკუთრებად არის რეგისტრირებული. პროექტის განხორციელებისას (წყლის მილსადენის ქსელის მშენებლობა) არ იგეგმება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოყენება.
ობიექტის ირგვლივ არსებული ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	ტერიტორია, სადაც გამანაწილებელი ქსელი და საშუალებები მოეწყობა თბილისიდან 25-60 კმ მანძილზე მდებარეობს. ხუთივე სოფელი მდებარეობს რეგიონში, სადაც მწირია გრუნტისა და ზედაპირული წყლების მარაგი, ზაფხული ცხელია, ხოლო წყალზე მოთხოვნილება - მაღალი. სოფლების ლანდშაფტი ძირითადად ხასიათდება საშუალო ქანობით, ადგილ-ადგილ მთაგორიანი რელიეფით. კლიმატი ზომიერად ნესტიანია, შედარებით ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. მარტოვოს და ნოტიოს ხეობების მდინარეების ნაპირებზე იზრდება წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები - რცხილა, მუხა, ნაძვი, ფიჭვი და სხვა მცენარეულობა. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა +25°C; +28°C, ხოლო ზამთრის - 0°C; + 2°C. საშუალო წლიური ნალექის მოცულობაა 422 მმ; წლის ყველაზე ცივი თვე იანვარია +2°C. სეისმურობა - 9 ბალი; ნიადაგის გაყინვის სტანდარტული სიღრმე - 0 სმ;

	მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი სექტორებია ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე: 1.3 სული/1 კმ ² -ზე.
მასალების, მათ შორის მინერალების, ქვის და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვეპროექტის განხორციელების ადგილიდან	მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 10კმ შეადგენს. მანძილი უახლოეს, ლილოს ნაგავსაყრელამდე დაახლოებით 12-15 კმ შეადგენს.
კანონმდებლობა	
ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვეპროექტის საქმიანობების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები	მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვეპროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალი რისკის „B“ კატეგორიის პროექტი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვეპროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად: - სამშენებლო მასალების შეძენა უნდა მოხდეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; - კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); - კონტრაქტორმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი ნებართვა გამონაბოლქვში დამაბინძურებელი კონცენტრაციის მაქსიმალური ზღვრის დადგენის ასახვით და მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს გარემოს დაცვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, თუ ასფალტს, ან ცემენტო-ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა სხვა მომწოდებლისაგან); - მიწის სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალის (მოჭრილი მიწა და ნატანი

	გრუნტი) მუდმივი განთავსების ადგილი წერილობით უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ (მუნიციპალურ) გამგეობასთან; - იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად კონტრაქტორის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენები, ან 200 ტონაზე მეტი არა-სახიფათო ნარჩენი, ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული მასალა (კალკულაცია ხდება კალენდარულ წელთან მიმართებაში), კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ნარჩენების ინვენტარიზაცია და ნარჩენების მართვის გეგმა და შეთანხმოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დანიშნოს გარემოს დაცვის მენეჯერი და მის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ნარჩენების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; - იმ შემთხვევაში, თუ ხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოჭრა, კონტრაქტორმა უნდა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები; - პროექტის განხორციელების პროცესში ხეები მოჭრის, ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორი მოახდენს მოსაჭრელი, ან გადასარგავი ხეების ინვენტარიზაციას მშენებლობის დაწყებამდე და შესაბამის დოკუმენტს წარუდგენს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (წითელი ნუსხის ხეების სახეობებთან მიმართებაში) და გარდაბნის მერიას (ხეების ორი სახეობებთან მიმართებაში, რომლებიც არ არიან წითელ ნუსხაში), ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად. ნებართვის დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება საკომპენსაციო ზომები, წარმოდგენილი ინვენტარიზაციის საფუძველზე. საკომპენსაციო თანხები ანაზღაურება მოხდება პროექტის ფარგლებში და საკომპენსაციო ქმედებებსაც მშენებლობის კონტრაქტორი განახორციელებს. ხეების მოჭრ
--	--

	უნდა მოხდეს შესაბამისად დანიშნულ სპეციალისტის ზედამხედველობის ქვეშ. დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.
საჯარო კონსულტაცია	
სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?	ქვეყანაში პანდემის შემდგომი მდგომარეობის გამო და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) რეკომენდაციების გათვალისწინებით, მგფ-მა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში - ზუმის (Zoom) აპლიკაციის გამოყენებით, გამართა 2021 წ. 21 მაისს. ონლაინ შეხვედრების გასამართად, მგფ-მა შეარჩია ზუმის აპლიკაცია, მისი ხელმისაწვდომობის გამო. ინფორმაცია შეხვედრის თარიღის/დროის და ზუმის ბმულების შესახებ, გამოქვეყნდა მგფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განცხადებები კი გამოიკრა გარდაბნის სოფლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის საკონტაქტო პირი ტელეფონით დაუკავშირდა თითოეულ ბენეფიციარს და შეატყობინა ონლაინ შეხვედრის თარიღის/დროის და შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო პროცედურების შესახებ. საჯარო კონსულტაციის პროცესში შეხვედრის მონაწილეები სრულად იყვნენ ჩართულები. შეხვედრის დროს დასმული შეკითხვები და გამოთქმული შენიშვნები იხ. დანართში 4.
საჩივრების მოგვარების მექანიზმი	
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მოგვარების მიზნით, შეიქმნა საჩივრების მოგვარების მექანიზმი, მოთხოვნის შესაბამისად. გარდაბნის მუნიციპალიტეტმა დანიშნა პასუხისმგებელი პირი – ვახტანგ გაგუა, გარდაბნის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი დაგეგმარების განყოფილების უფროსი (ტელ: 598404261, ელ. ფოსტა: gardabani.infrastruqtura@gmail.com , დავით აღმაშენებლის ქუჩა #73., გარდაბანი). მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირია ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19; feedback@mdf.org.ge ; მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული, 0112, თბილისი, საქართველო). იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ მოგვარდება ადგილობრივ დონეზე, საჩივრის შემოტანა მოხდება მგფ-ში. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მგფ ახდენს ყველა მიღებული საჩივრის, შენიშვნების და იმის, თუ როგორ მოხდება საჩივრის მოგვარება - რეგისტრაციას.	

საჯარო კონსულტაციების პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას ეცნობება საჩივრების მოგვარების პროცესის შესახებ და ისინი მიიღებენ ინფორმაციას საკონტაქტო პირების თაობაზე.

დანართები

დანართი 1: ქვეპროექტის ტერიტორიის ორთო-ფოტო;

დანართი 2: წყალსადენი სისტემისთვის შერჩეული ადგილების ფოტო-ილუსტრაცია;

დანართი 3: ქვეპროექტის სიტუაციური გეგმები;

დანართი 4: საკონსულტაციო პროცესის ამსახველი ჩანაწერი - შეხვედრის ოქმი;

დანართი 5: გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერის წერილი მგფ-ს, ქვეპროექტის ინიცირების თაობაზე.

დანართი 6: კონტრაქტორის მიერ გაფორმებული/მის ხელთ არსებული ხელშეკრულებები, ლიცენზიები, ნებართვები

ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ

გარემოსდაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს?	აქტივობა/ საკითხი	სტატუსი	მოქმედებაში მოყვანილი აქტივობა
	1. რეაბილიტაცია	☒ დიახ ☐ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი A ნაწილი
	2. ახალი მშენებლობა	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი A ნაწილი
	3. საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ინდივიდუალური სისტემა	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი B ნაწილი
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი C ნაწილი
	5. მიწის შესყიდვა ¹	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი D ნაწილი
	6. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი E ნაწილი

¹ მიწის შესყიდვა გულისხმობს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შეღავას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შეძენილი/გადაცემულია და ეს ქმედება ზემოქმედებს იმ ადამიანებზე რომლებიც კანონიერად ან თვითნებურად ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომლიც შესყიდვაც მიმდინარეობს.

	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ²	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი F ნაწილი
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი G ნაწილი
	9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ განკარგვა	☐ დიახ ☒ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი H ნაწილი
	10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	☒ დიახ ☐ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი I ნაწილი
	11. საზოგადოებრივი და საწარმოო ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	☒ დიახ ☐ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხ. ქვემოთმოყვანილი J ნაწილი

² ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
0. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშახელის უსაფრთხოება	(a) მშენებლობისთვის, სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ან ბუნებრივი სამშენებლო მასალებისთვის, ნარჩენების გადაყრისთვის და სხვა საჭიროებებისთვის სამართლებრივად აუცილებელი ნებართვების მიღება; (b) პირადი დაცვის აღჭურვილობის მიწოდების უზრუნველყოფა ობიექტზე პერსონალისთვის, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის (დამცავი ჩაფხუტი - მუდმივად, ნიღბები და დამცავი სათვალეები, უსაფრთხოების ღვედები და დამცავი ფეხსაცმელები - საჭიროებისამებრ) შესაბამისად და აღნიშნული აღჭურვილობის მოხმარების გაკონტროლება; (c) სამუშაო ადგილებზე შესაბამისი ნიშნების დადგმა, ძირითადი წესების და რეგულაციების ასახვით, რომელთა დაცვა მუშების ვალდებულებას წარმოადგენს; (d) სამუშაოების წარმოების თითოეულ ლოკაციაზე ინფორმაციის განთავსება - სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	(a) ნაგავგამტარების გამოყენება პირველი სართულის ზემოთ ინტერიერის დემონტაჟის პროცესში; (b) დემონტაჟის შედეგად მიღებული ნარჩენების განთავსება კონტროლირებად ადგილზე და წყლით დასველება, არსებული ნარჩენების მტვრის შესამცირებლად; (c) (ობიექტის) გარშემო არსებული ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; (d) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს;

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		(e) აკრძალულია სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების უქმი სვლა (საპროექტო) ტერიტორიაზე; (f) სატვირთო მანქანები უნდა იყოს დახურული და საფარით დაცული; (g) შავი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებები/მექანიზმები მყისიერად უნდა იქნას ტექმომსახურებაზე ჩაწერილი; (h) სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარე მოუკიწყლავ ზედაპირზე 35-40 კმ/სთ-მდე უნდა შეიზღუდოს; (i) მოუკიწყლავი ზედაპირები და გზები უნდა მოირწყას.
	ხმაური	(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით; (b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები შეძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან. (c) აღჭურვილობის გამართულ მდგომარეობაში შენახვა, იმგვარად რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მექანიკური ვიბრაციით გამოწვეული გარე ხმაური, ჭრიალი და ბრაგუნა (d) აღჭურვილობას გამორთვა, იმ შემთხვევაში, როდესაც იგი პირდაპირ გამოყენებაში არ არის, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც საჭიროა მისი უწყვეტად ფუნქციონირება
	წყლის ხარისხი	(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ან ლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გადინებას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას; (b) სეპტიკური ჩამდინარე წყლები სპეციალური აღჭურვილობის მეშვეობით იქნება გატანილი/ტრანსპორტირებული და ჩაიდვრება მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემაში;

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		(c) მიღების და რეზერვუარების გარეცხვისა და დეზინფიცირების დასრულების შემდეგ, მოახდინეთ სადეზინფექციო ხსნარის განეიტრალება (გაუვნებელყოფა) გარემოში დაცლამდე, სახმელეთო, ან წყლის ორგანიზმების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. გამოიყენეთ აღმდგენი საშუალება - ნატრიუმის წყალბადის სულფატი. გამოიყენეთ აღნიშნული ზუსტი დოზირებით, რათა მოახდინოთ სადეზინფექციო საშუალების გაუვნებელყოფა, წყლის ეკოსისტემებზე ზემოქმედების მოხდენის გარეშე. გაუვნებელყოფილი წყლის გარემოში დაცლა შეათანხმეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.
	ნარჩენების მართვა	(a) წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა; (b) წარმოქმნილი ნარჩენების სხვადასხვა სახეობების სეპარირება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება/რეცირკულირება, შესაძლებლობის ფარგლებში; (c) სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის დროებითი განთავსების ტერიტორიების გამოყოფა. არ დაუშვათ ნარჩენების ჭარბი მოცულობების დაგროვება ტერიტორიაზე; (d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების საკითხი ოფიციალურად შეათანხმეთ მუნიციპალურ ხელისუფლებასთან; (e) სახიფათო ნარჩენების გატანის, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის გადაცემის საკითხი მოაგვარეთ დროულად.
	მასალების მიწოდება	a) მასალები შეძენილი უნდა იქნეს იმ არსებული საწარმოებისა და კარიერებისაგან, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ოფიციალური ნებართვა, ან მოქმედი ლიცენზია საქმიანობის განსახორციელებლად; b) მოპოვებული უნდა იქნას შესაბამისი ლიცენზია, თუ საჭიროა ახალი კარიერის გახსნა;

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		c) კარიერების ტერიტორიების გამოყენებული მონაკვეთების აღდგენა, მოპოვების გაგრძელების შემთხვევაში, ან მათი სათანადოდ დახურვა, მოპოვების დასრულების და ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემთხვევაში; d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკის საათებში; e) სიჩქარის მარეგულირებელი, მიმართულების შეცვლის აღმნიშვნელი და გამაფრთხილებელი ნიშნების უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებისთვის - საჭიროების შესაბამისად.
	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განკარგვა	(a) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოჭრა დაახლოებით 0.3 მ სიღრმეზე და მისი ცალკე დასაწყობება მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში. (b) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ეროზიის თვიდან ასაცილებლად, იგი არაუმეტეს 2 მ სიმაღლის და მაქსიმუმ 45 ° ქანობიანი ფერდების მქონე შეკვრებად უნდა დასაწყობდეს, (c) წყალამრიდი არხების მოწყობა დასაწყობებული ნიადაგის პერიმეტრის გასწვრივ და ნიადაგის ნაყარის დაცვა ქარის მიერ მისი გაფანტვისაგან; (d) ნიადაგის დიდი ხნის განმავლობაში დასაწყობების შემთხვევაში, პერიოდულად გააფხვიერეთ იგი ან დათესეთ ბალახი; (e) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჭარბი რაოდენობა გადაეცით შესაბამის უწყებებს. იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწიდან, ნიადაგის ჭარბი ნაყოფიერი ფენა კონტრაქტორმა უნდა გადასცეს შესაბამის მუნიციპალურ უწყებებს, ხოლო თუ მიწა სახელმწიფო საკუთრებაშია, აღნიშნული უნდა გადაეცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. თუმცა, აღნიშნულ საკითხზე უნდა მოხდეს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრო-მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის ინფორმირება.
E. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	სამუშაოების წარმოება დასახლებებში	(a) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ დადგა ექსპროპრიაციის საჭიროება და თუ მიწის კანონიერი, თუ არაკანონიერი მომხმარებლების შემოსავლის დაკარგვა არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ შესაძლოა მოხდეს აღნიშნულ შემოსავლებზე წვდომის დაკარგვა, არ

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		შეხვიდეთ აღნიშნულ ტერიტორიაზე და დაუყონებლივ აცნობეთ ამის შესახებ დამკვეთს. სამუშაოები განაახლეთ მხოლოდ დამკვეთის ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ, რომელშიც აღნიშნული იქნება განსახლების დასრულების და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის კომპენსაციების სრულად გაცემის შესახებ. (b) არ განათავსოთ სამშენებლო მასალები და/ან ნარჩენები და არ გაიაროთ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. (c) სამუშაოების წარმოების პროცესში კერძო საკუთრების შემთხვევით დაზიანების შემთხვევაში, აცნობეთ დამკვეთს, შეათანხმეთ აღდგენითი სამუშაოების დრო და აღწერილობა და შეასრულეთ უმოკლეს ვადებში, მხოლოდ - საპროექტო ტერიტორიიდან დემობილიზაციამდე.
I. ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამშენებლო ტერიტორიის სათანადო დაცულობა და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის რეგულირება. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ■ სანიშნები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები: ტერიტორია კარგად ხილულია და საზოგადოება გაფრთხილებულია ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ■ ტრანსპორტის რეგულირების სისტემა და თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე წვდომისა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. უსაფრთხო გადასასვლელების და გადაკვეთების მოწყობა ფეხით მოსიარულეთათვის იმ ადგილებში, სადაც სამშენებლო ტექნიკა მოძრაობს; ■ სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური მართვა დატრეინინგებული და ხილვადი თანამშრომლების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართვა ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მართვის პროცესში; ▪ სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისასვლელის უზრუნველყოფა.
J. საზოგადოებრივი და საწარმოო ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა	(a) კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი პირის დანიშვნა კონტრაქტორის ჯგუფში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომუნიკაციაზე და ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნების/პრეტენზიების მიღებაზე; (b) კონსულტაციების გავლა ადგილობრივ თემებთან, გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოტენციური კონფლიქტების იდენტიფიცირების და პროაქტიური მართვის მიზნით; (c) ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარე სამუშაო ძალის არსებობასთან დაკავშირებით სექსუალური გზით დაავადების გადაცემის რისკების შესახებ და ადგილობრივი თემების ჩართულობა ცნობიერების ამაღლების (მიზნით წარმოებულ) აქტივობებში; (d) მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების, ასაფეთქებელი და სადემონტაჟო სამუშაოების თაობაზე, საჭიროებისამებრ; (e) სამშენებლო სამუშაოების შეზღუდვა ღამით. საჭიროების შემთხვევაში ღამის სამუშაოების სიფრთხილით დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება, რათა მათ შეძლონ შესაბამისი ზომების მიღება;

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		(f) ნებისმიერი სერვისის (მათ შორის წყლის, ელექტროენერგიის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტის შემთხვევაში, მოსახლეობის ინფორმირება მინიმუმ ხუთი დღით ადრე - სამუშაოების წარმოების ადგილებზე, ავტობუსების გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნესებზე შესაბამისი ინფორმაციის გაკვრის გზით; (g) დამკვეთის მიერ დაარსებული საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში - კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში; (h) არ განათავსოთ სამუშაო (სამშენებლო) ბანაკები ადგილობრივი თემების უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება; (i) სამუშაო ბანაკების განთავსების და ოპერირების საკითხზე კონსულტაცია გაიარეთ მეზობელ თემებთან.
	შრომის ორგანიზება (მართვა)	(a) არა-კვალიფიცირებული და ნახევრად კვალიფიცირებული მუშების დაქირავება ადგილობრივი თემიდან, შესაძლებლობის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში მუშებს ჩაუტარდებათ სწავლება (ტრენინგი) უნარებზე, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გასაძლიერებლად; (b) ადეკვატური საპირფარეშოების (ტუალეტების და საბანაო სივრცეების) მოწყობა სამუშაო ადგილებზე, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელების საშრობი აპარატების უზრუნველყოფით. თითოეული სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოეწყოს დროებითი სეპტიკური ავზის სისტემა, რომელიც არ დააბინძურებს მის სიახლოვეს არსებული წყლის ობიექტებს; (c) მუშების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებზე, ქვეყნის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, (კოდექსის) მკაცრად დაცვა - მუშების დათხოვნის

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების საკონტროლო ნუსხა
		და შესაბამისი მასშტაბის ფინანსური ჯარიმების დაკისრების გათვალისწინებით; (d) ზედამხედველი ინჟინრის და დამკვეთის დაუყოვნებლივ ინფორმირება საპროექტო ტერიტორიაზე მომხდარი ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რაც რეალურად იწვევს ადამიანის ჯანმრთელობისა თუ გარემოს დაზიანებას.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შეძენა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების სტანდარტული ტექნიკური მდგომარეობის დაცვა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;	სამშენებლო მოედანი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის გამონაბოლქვებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საგზაო პოლიცია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	ტრანსპორტირებისათვი ს დადგენილი დროისა და მარშრუტების დაცვა.				შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობება წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე; ამოღებული გრუნტის უკუ-ჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე; შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში,	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირე ბა	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება ფიზიკური და კულტურული რესურსების დაზიანების და დანაკარგის	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება სამინისტროს წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.				თავიდან აცილება	
ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყარო	მასალების შეძენა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტის საფუძველზე და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;	კარიერები	დოკუმენტე ბისა და სამუშაოები ს ინსპექტირე ბა	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ქანობების ეროზიის და ეკოსისტემების და ლანდშაფტები ს დეგრადაციის შეზღუდვა; მდინარის ნაპირების ეროზიის, შეწონილი ნაწილაკებით	მგფ, მშენებლობი ს ზედამხედვ ელი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	კარიერების დატერასება, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება; მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.				წყლის დაბინძურების და წყლის ფლორის და ფაუნის დარღვევის შეზღუდვა	
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება	სამშენებლო ობიექტი; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირე ბა	პერიოდულად - მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო ობიექტის და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიები ს მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.				თავიდან აცილება	
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთ ა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.	ობიექტზე და მის ირგვლივ	ინსპექტირე ბა	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტ ო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივი მაცხოვრებლებ ის შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი
ახლადგაწყობ ილი მიწების და რეზერვუარებ ის გაწმენდა	სადეზინფექციო სითხის გახსნა ან ქიმიური დეაქტივაცია ნარჩენი ქლორის მისაღებ კონცენტრაციამდე	მილსადენები ს ბოლოებში	გამწმენდი სამუშაოები ს ინსპექტირე ბა	მილსადენის რეცხვის პროცესში, მათი მონტაჟის დასრულებისას	ნიადაგის, გრუნტის წყლების, და ზედაპირული წყლების კონცენტრირებ	მგფ, მშენებლობის ზედამხედვე ლი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	დასაყვანად სასმელ წყალში გაშვებამდე				უღი ქლორით დაბინძურების თავიდან აცილება	
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	საწარმოო უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამუშაოების წარმოება დასახლებაში	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	პერიოდულად	ადგილობრივი უსაფრთხოების	მგფ, მშენებლობის

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	ინფორმირება დაგეგმილი სამუშაოების და მუნიციპალური სერვისის მიწოდების დროებითი შეფერხების შესახებ, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამუშაოების წარმოების პროცესში; უსაფრთხო საფეხმავლო მისასვლელის უზრუნველყოფა სარეაბილიტაციო გზის გასწვრივ არსებულ სახლებთან და ბიზნესებთან და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარება, ადამიანების/ცხოველები ს ორმოებში, თხრილებსა და ჩავარდნილ ადგილებში				ს უზრუნველყო ფა და შეწუხების მინიმუმამდე შემცირება	ზედამხედვე ლი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	შემთხვევითი ჩავარდნისაგან დასაცავად; გზის გასწვრივ არსებული ღობეების და სხვა კერძო საკუთრების დაზიანების თავიდან აცილება და დაუყოვნებლივ აღდგენა, დაზიანების შემთხვევაში.					
ექსპლუატაციის ფაზა						
რეაბილიტირ ებული წყალმომარაგე ბის სისტემის მოვლა- პატრონობა	გამაფრთხილებელი/ შეტყობინების ნიშნების დაყენება; დემარკაცია და სპეციალური ღობეების და ნიშნების დაყენება ჭაბურღილების და რეზერვუარების	რეაბილიტირ ებული მილსადენი	ვიზუალურ ი ინსპექტირე ბა	მოვლა- პატრონობის დროს	სისტემაში ავარიების და ფუნქციონირებ ის შეფერხების თავიდან აცილება	საქართველ ოს გაერთიანებ ული წყალმომარა გების კომპანია

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციე ლდეს მონიტორინ გი	როდის რა სიხშირით/პერიოდ ულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგე ბელი მონიტორინ გზე?
	ირგვლივ, სანიტარული ნორმების და წყლის ხარისხის დასაცავად; შეკეთების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა სპეციალურად განსაზღვრულ ნაგავსაყრელზე					
წყალმომარაგე ბის სადეზინფექცი ო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირე ბა ქლორირების საშუალებით	საექსპლუატაციო და ტექნომსახურების ტრეინინგს სამუშაოების კონტრაქტორი ჩაატარებს	სასმელი წყლის გამწმენდი საშუალება (ნაგებობა)	ინსპექტირე ბა	წყალმომარაგების სისტემის გაშვებისას	ქლორის საოპერაციო და ავარიული გამოთავისუფ ლების შედეგად გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება	საქართველ ოს გაერთიანებ ული წყალმომარა გების კომპანია

დანართი 1. ქვეპროექტის ორთო-ფოტო




დანართი 2. წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად შერჩეული ლოკაციების ფოტო-ილუსტრაცია

წყალსადენის ადგილმდებარეობა




წყალსადენის ადგილმდებარეობა



წყლის რეზერვუარის ადგილმდებარეობა



დანართი 3. ქვეპროექტის (III ეტაპი) სიტუაციური გეგმები



დანართი 4. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი

21 მაისი, 2021 წ.
გარდაბნის მუნიციპალიტეტი

შეხვედრის ოქმი
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
(SRMIDP)
დამატებითი დაფინანსება (AF)
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის
მესამე ეტაპის სამუშაოები

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა
ქვეპროექტის და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის და
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მართვის გეგმის შესახებ

პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა ონლაინ რეჟიმში - ზუმის (Zoom) აპლიკაციის გამოყენებით, გაიმართა 2021 წ. 21 მაისს. შეხვედრის მიზანი იყო ქვეპროექტის და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხილვა. აღნიშნული დოკუმენტები მომზადდა ქვეპროექტისთვის: გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოები.

ინფორმაცია თარიღის/დროის და ზუმის ბმულის შესახებ გამოქვეყნდა მგფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განცხადებები გაიკრა გარდაბნის სოფლებში. ამასთან, საკონტაქტო პირი ადგილობრივი თვითმმართველობიდან ტელეფონით დაუკავშირდა თითოეულ ბენეფიციარს და აცნობა მათ როგორც ონლაინ შეხვედრის თარიღის/დროის, ასევე შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო ონლაინ პროცედურების შესახებ.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ქვეპროექტით დაგეგმილი სამუშაოების და ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზემოქმედების, ასევე მათი პრევენციის გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ადგილობრივები:

1. ნანა რურუა
2. მაია ბიძინაშვილი
3. კახა ხართლოსიშვილი
4. თამაზი მეტრეველი
5. ნინო ეპიტაშვილი

6. დარეჯან კოჭუაშვილი
7. იაგო სოლოლაშვილი
8. მიხეილ მჭედლიშვილი
9. მამუკა გულიაშვილი
10. ხათუნა გამჯაშვილი
11. ნანა ცოფურაშვილი
12. ხვიჩა ქავთარაძე
13. გიგა უკლება

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი - რამაზ ბუდალაშვილი
გარდაბნის მერის პირველი მოადგილე - დავით კარგალეთელი
ადმინისტრაციის უფროსი - დავით ჩადუნელი
ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი - ვახტანგ გაგუა (საჩივრების მოგვარების მექანიზმის საკონტაქტო პირი)

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

პროექტის მენეჯერი - მარიამ გვაზავა
გარემოს დაცვის სპეციალისტი - ირმა მელიქიშვილი
სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტი - ნონა ჭიჭინაძე
ზვიად ჭურჭელაური - პროექტის ინჟინერი
ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი (საჩივრების მოგვარების მექანიზმის საკონტაქტო პირი) - ნუცა გუმბერიძე

შეხვედრა გახსნა ნუცა გუმბერიძემ, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია შეხვედრის მიზნების შესახებ.

შეხვედრა გააგრძელა მარიამ გვაზავამ, რომელმაც წარმოადგინა ქვეპროექტის დეტალური აღწერა და პროექტის ინჟინერთან ერთად, განიხილა ქვეპროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

შეხვედრის დასაწყისში ირმა მელიქიშვილმა განმარტა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (2017 წ.) თანახმად, ქვეპროექტი არ საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. თუმცა, ქვეპროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შერბილების მიზნით, მგფ ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისობა მსოფლიო ბანკის სოციალური და ეკოლოგიური დაცვის პოლიტიკასთან. შესაბამისად, მან წარმოადგინა აღნიშნული პროექტისთვის მომზადებული მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP).

ირმა მელიქიშვილმა მოკლედ მიმოიხილა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შინაარსი და სტრუქტურა. შემდეგ, მან წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის მართვის ღონისძიებები. ბოლოს,

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის დოკუმენტის არსებითი ნაწილის შესაბამისად, დამსწრე საზოგადოებას მან აცნობა წარმოდგენილ ქვეპროექტთან დაკავშირებული შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. შემდეგ მან წარმოადგინა შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

ირმა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, აღნიშნული გეგმის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებას წარმოადგენს, სოციალური და ბუნებრივი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მან ასევე მიმოიხილა ქვეპროექტის განხორციელების დროს შესასრულებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ასპექტები, გარემოს დაცვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი მხარეების საკითხი და ანგარიშგების პროცედურები.

ნონა ჭიჭინაძემ დამსწრე საზოგადოების წინაშე წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოებრივი ჩართულობის, უკუგების მექანიზმების და გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. მან ასევე დასვა შეკითხვები პროექტის განვითარების ისეთი ინდიკატორების შესახებ, როგორიცაა მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების და ქვეპროექტის შერჩევის პროცესებში. მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა ქვეპროექტის შერჩევის და აღნიშნული პროექტისთვის პრიორიტეტის მინიჭების პროცესში, ქვეპროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ნუცა გუმბერიძემ მონაწილეებს აცნობა მგფ-ში შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის პროცედურების და მნიშვნელობის შესახებ. დამსწრე საზოგადოებას მან გაუზიარა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, გარემოს დაცვასთან, ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრების წარმოქმნის, და/ან შენიშვნების და შემოთავაზებების გამოხატვის სურვილის შემთხვევაში. შეხვედრაზე მან წარმოადგინა ინფორმაცია (საინფორმაციო) დაფების შესახებ, სადაც ისინი შეძლებენ საკონტაქტო ინფორმაციის (ტელ. ნომრები და ელ. ფოსტა) მოძიებას საჩივრების მოგვარების მექანიზმთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებს ეცნობათ ასევე საჩივრების ყუთების თაობაზეც. აღნიშნული ყუთები და საჩივრების ფორმები განთავსდება ყველა ობიექტზე.


პრეზენტაციის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას მიეცა საკუთარი შეხედულებების გამოხატვის და წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ კითხვა/პასუხის სესიაში მონაწილეობის მიღება. შეხვედრის მონაწილეებს ძირითადად აინტერესებდათ პასუხები შემდეგ კითხვებზე: როდის დაიწყება ტენდერის გამოცხადება და რამდენ ხანს გაგრძელდება სამუშაოები. ისინი ასევე დაინტერესდნენ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგებით.

შეხვედრის დასასრულს, დამსწრე საზოგადოებამ გამოხატა მადლიერება და დადებითი დამოკიდებულება პროექტის მიმართ.

შეხვედრის ამსახველი ფოტოები და რეგისტრაციის ნუსხა თანდართულია.

შეხვედრის ოქმი მგფ-ის წარმომადგენლებმა მოამზადეს 2021 წ. 24 მაისს.

ფოტო მასალა:



დანართი 5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წერილი მგფ-ს³



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
GARDABANI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 18-1821134195
თარიღი: 14/05/2021
პინი: 8569

ადრესატი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორს გიორგი შენგელიას

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 2017 წელს დაიწყო და ამ ეტაპზე მიმდინარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის (ნორიო, მარტყოფი, ახალი სამგორი, ვაზიანი, ახალსოფელი) წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის მრავალწლიანი პროექტი, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს. გაცნობებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შესყიდული იქნა ხუთი სოფლის წყალმომარაგების ქსელის III ეტაპის მშენებლობის პროექტი.

გთხოვთ განიხილოთ მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების ქსელის III ეტაპის სამუშაოების დაფინანსების საკითხი. გარდაბნის მუნიციპალიტეტი მზად არის პროექტის ღირებულების 15%-ის თანადაფინანსების თანხა ურთიერთშეთანხმებით გადაიხადოს შესრულებული სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მიხედვით. აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პროექტს დასრულების შემდეგ ოპერირებას გაუწევს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია".

პროექტის ელ. ვერსია გადმოგიგზავნება ელ. ფოსტაზე:
mgvazava@mdf.org.ge.

პატივისცემით,

რამაში ბუდალაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საქართველო, გარდაბანი 1300, დ. ალმაშენებლის ქ. 127. ტელ.: (+995) 595-24-26-62, E-mail: gardabani.meria@gmail.com Web: www.gardabani.gov.ge, 127 D. Agmashenebeli str. Gardabani 1300, Georgia Tel: (+995) 595-24-26-63 E-mail: gardabani.meria@gmail.com Web: www.gardabani.gov.ge

³ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის თხოვნა მგფ-ს მიმართ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოების ინიცირების და დაფინანსების თაობაზე.

დანართი 6. კონტრაქტორის მიერ გაფორმებული/მის ხელთ არსებული ხელშეკრულებები, ლიცენზიები, ნებართვები

ინერტული მასალის შესყიდვის ხელშეკრულება

ნასყიდობის გენერალური ხელშეკრულება

ქ. თბილისი

1 ივნისი, 2022წ.

წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- I. შპს „ინსი“ წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ზვიად თოიძის სახით (შემდგომში „მყიდველი“ ან/და „დამკვეთი“);
- II. შპს „ინერტული მასალები და ლოჯისტიკა“ წარმოდგენილი დირექტორის პაატა რაქვიაშვილის სახით (შემდგომში „გამყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“).

7. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. **მყიდველი ან/და დამკვეთი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინსი“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: **206278516**, მის ნებისმიერ და ყველა სამართალმემკვიდრეს და უფლებამონაცვლეს;
- 1.2. **გამყიდველი ან/და მიმწოდებელი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინერტული მასალები და ლოჯისტიკა“ კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: **406151453** მის ნებისმიერ და ყველა სამართალმემკვიდრეს და უფლებამონაცვლეს;
- 1.3. **მხარე** - მყიდველი/დამკვეთი ან გამყიდველი/მიმწოდებელი კონტექსტის შესაბამისად;
- 1.4. **მხარეები** - მყიდველი/დამკვეთი ან გამყიდველი/მიმწოდებელი ერთობლივად;
- 1.5. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი გარდა მყიდველი/დამკვეთი ან გამყიდველი/მიმწოდებლის;
- 1.6. **ხელშეკრულება** - მხარეთა შორის დადებული (ა) წინამდებარე ქვეკონტრაქტის ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე ხელშეკრულების დანართები, რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში მხარეთა მიერ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებასთან მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით;

- 1.7. **დანარები** - ხელშეკრულების დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;
- 1.8. **მასალა/საქონელი** - შეკვეთაში მითითებული სხვადასხვა ტიპის სამშენებლო მასალა/საქონელი, რომელიც ეტაპობრივად იქნება მიწოდებული მყიდველისთვის ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.9. **დღე** - ერთი კალენდარული დღე;
- 1.10. **სამუშაო დღე** - დღე, შაბათის, კვირის და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა;
- 1.11. **საბოლოო მიღება-ჩაბარება** - მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ფორმდება მასალების მიწოდების შემდეგ და რომლის გაფორმების თარიღი არის საგარანტიო ვადების ათვლის თარიღი;
- 1.12. **საგარანტიო პერიოდი** - პერიოდი, რა დროშიც მიმწოდებელი იღებს პასუხისმგებლობას ჩაანაცვლოს წუნდებული/ნაკლიანი ქონება უნაკლოთი, პრეტენზიების წარდგენის ვადის გასვლამდე;
- 1.13. **პრეტენზიების წარდგენის ვადა** - ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით დადგენილი პრეტენზიების წარდგენის ვადა, რომლის ათვლა იწყება საქონლის გადაცემის შესახებ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და რომლის ვადაც განისაზღვრება ინდივიდუალურად შეკვეთის ფორმაში მისაწოდებელი მასალის მიხედვით;
- 1.14. **შეკვეთა / შეკვეთის მოთხოვნა** - მყიდველის მიერ სასურველი საქონლის ჩამონათვალის, სპეციფიკაციების, რაოდენობის, ხარისხის, მიწოდების თარიღის, საგარანტიო ვადების, საქონლის მიწოდების ადგილის თაობაზე გამყიდველისათვის ინფორმაციის გაგზავნა წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- 1.15. **ინვოისი/კომერციული წინადადება** - გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მისაწოდებელი საქონლის დასახელების, რაოდენობის, საგარანტიო პერიოდის და ღირებულების თაობაზე ინფორმაციის გაგზავნა წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს; ამ ხელშეკრულებასა და კომერციულ წინადადებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომერციულ წინადადებას.
- 1.16. **შეკვეთის შესრულება** - მყიდველის მხრიდან საქონლის გადაცემა მყიდველისთვის შეკვეთაში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად;

- 1.17. **კრედიტი** - მყიდველისთვის მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი ღირებულება, რომლის დასაშვები ჯამური მოცულობა, გადახდის პირობები და ვადა განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

2• ხელშეკრულების საგანი

- 2.1. გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შეკვეთის მოთხოვნაში/კომერციულ წინადადებაში მითითებულ საქონელს (ინერტულ მასალას) გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მე-3 ფაზა: ნორიო, ვაზიანი, ახალსამგორი, მარტყოფი და ახალსოფელი ფარგლებში და გადაცემს მყიდველს მასზე საკუთრების უფლებას;
- 2.2. გამყიდველი იღებს ვალდებულებას შეკვეთის მიღების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში შეასრულოს შეკვეთა, ხოლო მყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს იგი და გადაუხადოს გამყიდველს საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3• შეკვეთის განთავსებისა და დადასტურების პროცედურა

- 3.1. მყიდველი შეკვეთის განთავსებას ახორციელებს ელექტრონული კომუნიკაციის [ელექტრონული ფოსტის] საშუალებით, გამყიდველისთვის შეკვეთის გაგზავნის გზით;
- 3.2. შეკვეთის გაგზავნისას დამკვეთმა მეილ კომუნიკაციის გზით უნდა გაგზავნოს მოთხოვნა შემდეგ ელ. ფოსტებზე Inertml@gmail.com გამყიდველმა შეკვეთა უნდა დაადასტუროს ან/და უარი თქვას მეილის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში;
- 3.3. გამყიდველმა შეკვეთის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს დამკვეთს კომერციული წინადადება, რომელიც უნდა დაადასტუროს დამკვეთმა წერილობითი ფორმით. დამკვეთის მხრიდან დასტურის მიღების შემდგომ შეკვეთა შედის ძალაში;

4• ქონების გადაცემა

- 4.1. თუ კომერციულ წინადადებაში მითითებულია, რომ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი, დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს მიწოდების ადგილას, საჭიროების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მისასვლელი გზა ობიექტამდე და ობიექტზე სატრანსპორტო საშუალების განთავსებისათვის;
- 4.2. საქონლის გადაცემის მისამართი, რაოდენობა და სხვა მახასიათებლები მოცემული იქნება სასაქონლო-ზედნადებში;

- 4.3. საქონლის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის საქონლის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გაფორმებით;
- 4.4. ქონების მყიდველის საკუთრებაში და გადაცემა უნდა განხორციელდეს კომერციულ წინადადებაში ან/და შეკვეთაში მითითებულ ვადებში;
- 4.5. მხარეები ვალდებული არიან ისე დაგეგმონ სამშენებლო ობიექტებზე მიწოდება, რომ არ შეფერხდეს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები;

5. ქონების ხარისხი

- 5.1. მიწოდებული მასალებს უნდა ჰქონდეს წარმოების სერთიფიკატი და სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან/სტანდარტებთან;
- 5.2. მასალები უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. ნივთობრივი უნაკლოობა გულისხმობს, რომ საქონელი არის იმ ხარისხის და რაოდენობის შესაბამისი რაც მოთხოვნილი იყო შეკვეთაში ან/და კომერციულ წინადადებაში. საქონელი უფლებრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუ მასზე არ აქვს მესამე პირს რაიმე პრეტენზია ან/და უფლება;
- 5.3. თუ ქონება ნაკლის მქონეა/უხარისხოა, გამყიდველი ვალდებულია მყიდველის მიერ ასეთი ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეცვალოს ქონება უნაკლო ქონებით გონივრულ ვადაში. თუ ნაკლის გამოსწორება ვერ ხდება გონივრულ ვადაში, მყიდველს უფლება აქვს თავად შეიძინოს ქონება მესამე პირისგან და მოსთხოვს გამყიდველს შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება;
- 5.4. თუ ნაკლის არსებობის შესახებ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ჩაატაროს ექსპერტიზა საქონლის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით. ექსპერტიზის ხარჯებს თავდაპირველად გაიღებს ექსპერტიზის ინიციატორი მხარე. თუ ექსპერტიზის დასკვნამ დაადგინა, რომ საქონელი იყო ნაკლის მქონე, მიმწოდებელს დაეკისრება ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება, ხოლო თუ დადგინდება რომ ქონება იყო უნაკლო, ხარჯებს გაიღებს დამკვეთი;
- 5.5. უხარისხო ქონების მიწოდების შედეგად დამდგარი ზიანისთვის, რომელიც მიადგება მყიდველს, ვალდებულება ეკისრება გამყიდველს. გამყიდველი თავისუფლდება ვალდებულებისგან, თუ ზიანის დადგომაში მასაც მიუძღვის ბრალი ან/და მიწოდებულმა საქონელმა ზიანი გამოიწვია ქონების არასწორმა შენახვა/ექსპლუატაციამ;
- 5.6. გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონელი ნაკლის არ მქონედ და მიღებულად ჩაითვლება, მას შემდეგ რაც გავა პრეტენზიების წარდგენის ვადები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და საგარანტიო ვადები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელიც მითითებული იქნება კომერციულ წინადადებაში.

6. მიწოდების ვადები და საქონლის მიღება

- 6.1. გამყიდველის მიერ მიწოდება ან/და მისი საწყობიდან საქონლის გატანა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ დამკვეთისთვის გაგზავნილ კომერციულ წინადადებაში მოცემული გეგმა-გრაფიკის ზუსტი დაცვით;
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდება ფერხდება ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად და თუ ფორს-მაჟორული გარემოებები პირდაპირ გავლენას ახდენს მიწოდების ვადების დაცვაზე, მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა აღნიშნული შეფერხების პერიოდით გახანგრძლივდეს მიწოდების ვადები. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს არ დაეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა მიწოდების დაგვიანებისთვის;
- 6.3. საქონლის მიწოდების ვადა პროპორციულობის პრინციპით დაექვემდებარება ცვლილებას, თუ დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იქნება დამატებითი მასალები, მიმდინარე შეკვეთასთან ერთად;
- 6.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასვენების (უქმე) დღეები არ წარმოადგენს შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების დროის გადაწევის საფუძველს, თუ მიწოდების ვადები მითითებულია კალენდარული დღეებით;
- 6.5. დამკვეთი ვალდებულია, მიიღოს საქონელი დროულად მიმწოდებლის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში; თუ მიწოდება ხორციელდება გამყიდველის საწყობიდან, მყიდველი ვალდებულია დაიცვას გამყიდველის ობიექტზე არსებული უსაფრთხოების წესები. ამ წესების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება მყიდველს.
- 6.6. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებას ახორციელებს გამყიდველი, ის ვალდებულია დაიცვას მყიდველის ობიექტზე არსებული უსაფრთხოების წესები მკაცრად. ამ წესების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება მყიდველს.
- 6.7. თუ მყიდველი უარს იტყვის საქონლის მიღებაზე, გამყიდველს უფლება აქვს დააკისროს მყიდველს ფაქტობრივად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მათ შორის ხარჯები რომელიც დაკავშირებული იქნება საქონლის დასაწყობებასთან მის რეალიზაციამდე;

7. მხარეთა წარმომადგენლები

- 7.1. მიმწოდებლის წარმომადგენელი:

7.7.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების და ჯეროვნად შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში

მიმწოდებლის წარმომადგენლად დანიშნულია ფიზიკური პირი: [პაატა რაქვიაშვილი ელ. ფოსტა lnertml@gmail.com 599 263500, 579 288328.

7.1.2. წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის და მიწოდების პროცესის მონიტორინგი, ზედნადებებისა და მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერა, და მათი წარდგენა;

7.1.3. წარმომადგენლის დანიშვნა და/ან შეცვლა საჭიროებს დამკვეთისთვის წინასწარ წერილობითი (დასაშვებია მეილ კომუნიკაცია) შეტყობინების გაგზავნას. მიმწოდებელი ვალდებულია წარმომადგენლად დანიშნოს სათანადო ცოდნის და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც შეუძლია ტექნიკურ სამშენებლო მასალებზე/საკითხზე კომუნიკაცია დამკვეთთან;

7.1.4. წარმომადგენელს ენიჭება უფლებამოსილება იმოქმედოს მიმწოდებლის სახელით;

7.2. დამკვეთის წარმომადგენელი

7.2.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დამკვეთის წარმომადგენელია:

მამუკა კვირიკაშვილის ტელეფონის ნომერი +955 577050099; მეილი: kvirik12@gmail.com

7.2.2. წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის და საქონლის მიღების პროცესის მონიტორინგი, ზედნადებებისა და მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უზრუნველყოფა, მონაწილეობა მიიღოს მიწოდების ორგანიზებაში;

7.2.3. წარმომადგენლის დანიშვნა და/ან შეცვლა საჭიროებს გამყიდველისთვის წინასწარ წერილობითი (დასაშვებია მეილ კომუნიკაცია) შეტყობინების გაგზავნას. დამკვეთი ვალდებულია წარმომადგენლად დანიშნოს სათანადო ცოდნის და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც შეუძლია ტექნიკურ სამშენებლო მასალებზე/საკითხზე კომუნიკაცია მომწოდებელთან;

7.2.4. წარმომადგენელს ენიჭება უფლებამოსილება იმოქმედოს დამკვეთის სახელით;

7.3. მესამე პირები

7.3.1. მხარეები არ არიან უფლებამოსილი სრულად ან ნაწილობრივ გადაანდონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მესამე პირ(ებ)ს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

7.3.2. განხორციელებული გადანდობის მიუხედავად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირი რომელმაც გადაანდო სახელშეკრულებო ვალდებულება მესამე პირს, თავად რჩება პასუხისმგებელი საქონლის ხარისხზე ან/და დროულ გადახდაზე. ასევე შესასრულებელ ვალდებულებებზე, მათ ქმედებებსა თუ დარღვევებზე ისევე,

როგორც იგი იქნებოდა პასუხისმგებელი პირადად შესრულებულ სამუშაოზე, ქმედებებსა და დარღვევებზე;

8. უსაფრთხოების წესები და გარემოს დაცვა

- 8.1. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნები მხარეთა ობიექტებზე.
- 8.2. შესაბამისი მხარე, რომლის ობიექტზეც მიმდინარეობს საქონლის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, ვალდებულია თავისი წარმომადგენლები, თანამშრომლები, დაქირავებული პირები, პერსონალი გააფრთხილოს უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ. მათ მიერ წესების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის მხარეს;
- 8.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან მეორე მხარის ობიექტზე სისუფთავე საქონლის მიწოდების [დატვირთვა-გადმოტვირთვა] დროს და უზრუნველყონ სამუშაოების შედეგად დაგროვილი ნარჩენების განთავსება ობიექტზე სპეციალურად ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილ ადგილას;

9. მასალების საფასური და ანაზღაურება

- 9.1. ხელშეკრულებით დადგენილი მასალების მიწოდება და შესაბამისად ანაზღაურება ხდება ეტაპობრივად, რომლის პირობებიც განისაზღვრება კომერციულ წინადადებაში.
- 9.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს კონსიგნაციის [კრედიტის], საავანსო გადახდის, ეტაპობრივი ან/და სრული გადახდის გზით;
- 9.3. ანგარიშსწორების ვადები და ფორმა თანხმდება მხარეთა შორის წინასწარ წარდგენილი კომერციული წინადადების შესაბამისად. თუ წინადადება არ შეიცავს განსაკუთრებულ დათქმას ანგარიშსწორების პირობებზე მოქმედებს ამ პუნქტით დადგენილი ზოგადი პირობებით;
- 9.4. მასალების ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით;
- 9.5. ანგარიშსწორების პირობები, განისაზღვრება კომერციული წინადადებით;

10. საგარანტიო პერიოდი (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი)

- 10.1. საგარანტიო პერიოდი გულისხმობს ვადას, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, აღმოფხვრას მასალების ნაკლი; საგარანტიო პერიოდი აითვლება მხარეთა შორის საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მოქმედებს კომერციულ წინადადებაში მითითებული ვადით (ასეთის არსებობის შემთხვევათი);

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უარს აცხადებს ან ვერ უზრუნველყოფს ნაკლის გამოსწორებას გონივრულ ვადაში, დამკვეთი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით შეასრულოს და/ან დაუკვეთოს მიწოდება ნებისმიერ მესამე პირს და გამოქვითოს ასეთი თანხები გადასახდელი ღირებულებიდან;

11. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის წესი

- 11.1. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს ნებისმიერი მიზეზით, მეორე მხარისთვის წინასწარ გაგზავნილი წერილობით შეტყობინების გზით. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შეწყვეტის თარიღი;
- 11.2. ხელშეკრულების შეწყვეტის დროს მხარეები არ თავისუფლდებიან ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 12.1. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის არ გადაუხდის საქონლის საფასურს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს პირგასამტეხლო გადაუხდელი ნაწილის ღირებულების 0,01%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს სახელშეკრულებო ფასის 10%-ს.
- 12.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს გრაფიკით გათვალისწინებულ მიწოდების რომელიმე ვადას, ან ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას, დამკვეთი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაარიცხოს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%.

13. ფორს-მაჟორი

- 13.1. მხარე არ აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღის შემდეგ.
- 13.2. ფორს-მაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა ან/და შეწყვეტა მხარის ნებაზე ან/და შესაძლებლობაზე არ არის დამოკიდებული, ანუ წარმოადგენს მხარისათვის დაუძლეველ ძალას, არ არის გამოწვეული ამ მხარის ბრალეული ქმედებით და რომლის დროსაც მხარისთვის ობიექტურად შეუძლებელია მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

- 13.3. ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობის შემდეგ, მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული მდგომარეობა ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის (თუ შესაძლებელია ხანგრძლივობის განსაზღვრა) და წინამდებარე ხელშეკრულებაზე მისი შესაძლო ზემოქმედების, ისევე როგორც მისი დასრულების შესახებ.
- 13.4. თუ ფორს-მაჟორული გარემოება იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე რომელიმე ვალდებულების შესრულების უწყვეტ შეყოვნებას არაუმეტეს სამი თვისა, შესრულების ეს ვადა გაგრძელდება ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად. თუ ასეთი შეყოვნება აჭარბებს 3 თვეს უწყვეტად, მხარეები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ ფორს-მაჟორულ გარემოებებთან წინამდებარე ხელშეკრულების შემდგომი მისადაგების საკითხი.

14• განმარტებები

- 14.1. ხელშეკრულებაში მხოლოდით რიცხვში მითითებული სიტყვები გულისხმობს მრავლობით რიცხვს და მრავლობით რიცხვში მითითებული სიტყვები გულისხმობს მხოლოდით რიცხვს, კონტექსტის შესაბამისად.
- 14.2. ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც მოიცავს სიტყვებს „თანხმობა“ „შეთანხმება“ „შეთანხმებული“ „დასტური“ „დადასტურება“ „გააფრთხილოს“ „აცნობოს“ „შეატყობინოს“ „მიაწოდოს“ მოითხოვს წერილობით დაფიქსირებას.
- 14.3. „წერილობითი“, ასევე „წერილობით“ გულისხმობს ხელით ნაწერს, ნაბეჭდს, ელექტრონულად შექმნილს, რომელიც აისახება მუდმივი ჩანაწერის ფორმით.
- 14.4. ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტები განიხილება როგორც ერთმანეთის შემავსებელი დოკუმენტები.

15• კომუნიკაცია და კომუნიკაციის ენა

- 15.1. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს შეტყობინების ან მითითების მიცემას ან სხვა სახის კომუნიკაციას, თუ არ არსებობს სხვაგვარი დათქმა, იგი უნდა გაიცეს წერილობით და ჩაბარდეს ადრესატს ხელზე (მიღების დადასტურებით), გაეგზავნოს ფოსტით, კურიერის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხელშეკრულებით დადგენილ შესაბამის საკორესპონდენციო მისამართზე, თუკი კონკრეტული კომუნიკაციისთვის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული სპეციალური ფორმა;
- 15.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკორესპონდენციო (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის) მისამართებზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება ადრესატის მიერ შეტყობინების მიღებად, თუ დადასტურდება, რომ შესაბამის საკორესპონდენციო მისამართზე შეტყობინება მივიდა.
- 15.3. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ამა თუ იმ კომუნიკაციისთვის სპეციალურ ფორმას, კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ამ ფორმით.

15.4. ქვეკონტრაქტორის საკორესპონდენციო მისამართებია:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

ელექტრონული ფოსტა:

ტელეფონი:

15.5. კონტრაქტორის საკორესპონდენციო მისამართებია: ქ.თბილისი, მ. კოსტავას 72ა

ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, მ. კოსტავას 72ა

ელექტრონული ფოსტა: info@insi.ge

ტელეფონი +9952213194

16• ენა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

16.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში კომუნიკაციის ენას წარმოადგენს ქართული და ინგლისური ენა•

16.2. ხელშეკრულება განიმარტება და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა•

17• დავები

17.1. სადაო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებული, მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პრეტენზია და/ან შეუთანხმებლობა, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, 2 სართული, ოფისი 11• ვებ-გვერდი: WWW.DRC.GE საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად• არბიტრაჟი დავას განიხილავს 1 (ერთი) არბიტრის მეშვეობით•

18• დასკვნითი დებულებები

18.1. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულების ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს•

18.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით• ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს•

- 18.3. ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 18.4. ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
- 18.5. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალა დაკარგულად (ბათილად) ცნობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი რომელიმე სხვა დებულების ბათილობას.
- 18.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.
- 18.7. ხელშეკრულება არის მხარეთა შორის არსებული შეთანხმება, რომელიც ცვლის და ძალას უკარგავს ნებისმიერ შეთანხმებას, დაპირებას, რწმუნებას, გარანტიას, წარმომადგენლობას ან ურთიერთგაგებას, რომელიც მხარეებს შორის მანამდე არსებობდა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით წერილობითი თუ ზეპირი ფორმით.

19. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

მყიდველი

შპს „ინსი“
ს/ნ 206278516
იურ. მის: ქ.თბილისი, მ. კოსტავას 72ა
სს „ბაზის ბანკი“

ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE18BS0000000080436410

დირექტორი: ზვიად თოიძე



გამყიდველი

შპს „ინერტული მასალები და
ლოჯისტიკა“
ს/ნ 406151453
იურ. მის: 0144, თბილისი, ისანი-სამგორის
რაიონი, შირაქის ქ. 3 კორპ., ბ.
40

BAGAGE22
ა/ა: GE54BG0000000627322700



დირექტორი: პაატა რაქვიაშვილი

ხელშეკრულება ქვენიადგის დროებით გატანაზე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
GARDABANI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **18-182213694**
თარიღი: **16/05/2022**

ადრესატი: შპს ინსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206278516
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი,
მ. გოსტავას ქ., №72ა

შპს „ინსი“-ს გენერალურ დირექტორს

ბატონ ზვიად თოიძეს

ბატონო ზვიად,

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი N324 (10.05.2022) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია არაა წინააღმდეგი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის (ნორიოს, ვაზიანი და ახალი სამგორის) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის III ფაზის სამუშაოების შესრულების მიზნით სამუშაოების წარმოებისათვის, სოფელ ნორიოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ფაზის სამუშაოების შესრულებისას ამოღებული მიწისა და ზედმეტი გრუნტის განთავსება განახორციელოთ დაურეგისტრირებელ მიწის ფართობებზე: ს/კ 81.09.30.250 მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 2000კვ.მ-ზე, ს/კ 81.09.24.404 მიმდებარედ დაახლოებით 800 კვ.მ-ზე, ს/კ 81.09.11.273 და ს/კ 81.09.11.235 მიმდებარე ტერიტორიებზე დაახლოებით 1000კვ.მ-ზე (იხ. დანართი).

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.
პატივისცემით,

დავითი კარგარეთელი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია
ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული



წერილის ნომერი: 28-182213387
თარიღი: 13/05/2022

აღრესატი:
დავითი შინჯიკაშვილი
ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური-პირველი რანგის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ დავით შინჯიკაშვილს

ბატონო დავით,

თქვენი მ/წლის 13 მაისის №09-182213356 წერილზე:

გაცნობებთ, რომ სოფელ ნორიოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მესამე ფაზის სამუშაოების შესრულებისას ამოღებული მიწისა და ზედმეტი გრუნტის განთავსება შესაძლებელია: ს/კ 81.09.30.250 მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 2000კვ.მ-ზე, ს/კ 81.09.24.404 მიმდებარე დაახლოებით 800 კვ.მ-ზე, ს/კ 81.09.11.273 და ს/კ 81.09.11.235 მიმდებარე ტერიტორიებზე დაახლოებით 1000კვ.მ-ზე.

დანართი: 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ზაქრო კობლიაშვილი

ნორიოს ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში

